ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა-რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

16 დეკემბერი, შაბათი, 1989 წ.
№ 240 (10 159) ● ფასი 5 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

დრო უნდა გვეყოს!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა

მეტოქის ფარს უტევს გელა დარსაძე
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

შ. ჩოჩიშვილი, ა. ინოკი და ბ. რეიგანსი

** მოგავალი** წლის ბოლო დღეს — 31 დეკემბერს მოსკოვის ცენტრალური სტადიონის მცირე არენაზე გაიმართება პროფესიონალ მოჭიდავეთა და მოკრივეთა პირველი საერთაშორისო ფესტივალი. ამ დღეს მსოფლიოში ყველაზე ღონიერ ადამიანებთან ერთად მაყურებლებს წარუდგებიან საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები — მომღერლები, ესტრადის მსახიობები, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლების ვარსკვლავები.

პროგრამის ღერძი კი, მაინც სპორტსმენთა გამოსვლები იქნება, სადაც ერთმანეთს შეხვდებიან ოლიმპიური ჩემპიონები შოთა ჩოჩიშვილი, ამერიკელი ბრედ რეიგანსი და ლეგენდარული იაპონელი მოჭიდავე ანტონი ინოკი — დღეს ქვეყნის პარლამენტის მრჩეველთა პალატის დეპუტატი.



ა. წ. 17 დეკემბერს, 12 საათზე,

პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის თეატრალურ დარბაზში

„ნორჩ მოგზაურთა“ კლუბი აღნიშნავს

გამოჩენილი მთამსვლელისა და კლდეზე მცოცავის

მიხეილ ხერბიანის

ხსოვნის დღეს

ოტავა. კანადის საკაბელო ტელევიზიამ ოფიციალური ბოდიში მოუხადა ამერიკელ მძლეოსანს კარლ ლუისს, რომელსაც ერთ-ერთ გადაცემაში დოპინგის მიღება დასდო ბრალად, თანაც აღნიშნა, რომ ისარგებლა დასავლეთგერმანული ჟურნალის „შტერნის“ მონაცემებით. თავის მხრივ, ლუისის ადვოკატმა ტიმოტი დენსონმა აღნიშნა, რომ „შტერნის“ მიმართ საჩივარი უკვე შეტანილია სასამართლოში.

კოპენჰაგენი. პროფესიონალ ველოსიპედისტთა ექვსდღიან რბოლაში მსოფლიოს ექსჩემპიონებს მარატ განეევს და კონსტანტინე ხრავცოვს მხოლოდ მეშვიდე ადგილი ხვდათ. გაბარჯვება კი ავსტრალიელმა დენი კლარკმა და დანიელმა იენს ვეგენმ მოიპოვეს.

ბილისი. ბავშვთა კალათბურთის სახახლე. 13-14 დეკემბერი. „დინამო“ (თბილისი) — „სტატიბა“ (ვილ ნიუხი) 86:74 (39:33), 75:69 (41:34).

თბილისის „დინამომ“ ბოლო კვირას ზედიზედ ოთხი კალენდარული შეხვედრა მოიგო, მეტი ვიდრე მთელი სამი თვის მანძილზე. ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში, ამას რადიკალური ცვლილებები, ცხადია, არ მოჰყოლია. თუმცა ერთი ტენდენცია უდავოდ გამოიკვეთა, რაც ყველაზე მეტად გვახარებს: დინამოელებს უკეთესი ადგილისთვის ბრძოლა შეუძლიათ. მათ საამისოდ ძალაც საკმარისი გააჩნიათ და უნარიც.

შეიძლება შემოგვედავონ: დღევანდელ „სტატიბასთან“ ან ლენინგრადის „სპარტაკთან“ გამარჯვებები ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავსო, თანაც შინ, საკუთარ მოედანზე და საკუთარი გულშემატკივრების გარემოცვაში. ეს მოსაზრება ერთგვარად მართალიც იქნებოდა, მხედველობაში რომ მხოლოდ ამ ოთხი შეხვედრის შედეგს ვიღებდეთ. მაგრამ საქმე სწორედ ის გახლავთ, რომ ბოლოდროინდელი „დინამო“ ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა, თამაშით იმსახურებს, რომელმაც ალბათ უნდა განსაზღვროს კიდეც გუნდის საბოლოო სახე და ხელწერა.

კაცმა რომ თქვას, ახალი ან განსაკუთრებული არაფერი ხდება. გუნდი ბოლოს და ბოლოს იბრუნებს კარგა ხნის წინ დაკარგულ ტრადიციას, სტილს, თამაშს და ამ თავისებურ გარდაქმნაში ყველას თანაბარი წვლილი შეაქვს.

რამდენიმე ფრაგმენტი გუშინწინდელი მატჩიდან:

25-ე წუთი, 5 პერსონალური შეცდომის გამო, მოედანს სტოვებს ახალგაზრდა დინამოელი ირაკლი ბაქრაძე. ტრიბუნები ერთსულოვანი ტაშით გამოხატავენ დამოკიდებულებას დებიუტანტის თამაშისადმი. ისინი, ცხადია, კმაყოფილნი არიან.

26-ე წუთი. სადემონსტრაციო დაფა აღნიშნავს დინამოელთა ოცქულიან უპირატესობას — 58:38. ასეთი სხვაობა ბოლო წლების პრაქტიკაში იშვიათია, თუ ერთადერთი არა.

ამ მონაკვეთში „დინამო“ სწორედ ის გუნდი გახლდათ, რომლის ნახვას წლების მანძილზე ვნატრობთ: სწრაფი შეტევით, რამდენიმე ელვისებური გადაცემით და კალათში ზუსტი სროლით. პირველი შეტევა; წარუმატებლობის შემთხვევაში ფარქვეშ ეფექტური ბრძოლა და მერე უკვე, პოზიციური იერიში ცენტრალური თავდამსხმელისა და სწრაფი გარემარბების გამოყენებით — ეს დინამოელთა თამაშის კლასიკური სქემა იყო მუდამ.

მთელი მატჩის მსვლელობაში, ამ სქემით თამაში, დღეს გუნდის უპირველესი მიზანია. მაგრამ ამ სტილის

იხ. მე-3 გვ.

სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში ქალთა გუნდებს შორის ● I ლიგა

სპი ლიდერთა შორის

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელ ქალთა გუნდმა შინ საკავშირო პირველობის კიდევ ორი მატჩი ჩაატარა და ორივე მოიგო. ჩვენი გუნდი მტკიცედ ინარჩუნებს პოზიციებს ლიდერთა შორის.

პირველ დღეს დნეპროპეტროვსკის „სტალმა“ ვერაფერი გააწყო მასპინძელთა შეტევების წინააღმდეგ და დამარცხდა 22 ქულით — 42:64 (22:27). ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი მასპინძელთა შორის იყვნენ ლორია (15 ქულა) და სირაძე (15 ქულა). სტუმრებში — ბუცი (13 ქულა).

კიდევ უფრო აშკარა იყო მასპინძლების უპირატესობა მეორე მატჩში. ამ დღეს თავი გამოიჩინეს მხეიძემ (18 ქულა) და სირაძემ (17 ქულა). სპი-მ მეტოქე დაამარცხა 27 ქულით — 83:56 (37:36). ამ უპირატესობას თბილისელმა კალათბურთელებმა უმთავრესად შესვენების შემდეგ მიაღწიეს. დნეპროპეტროვსკელთაგან ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო კოვალიოვა (15 ქულა).

ლიზა აზიზოვა,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

„შევარდნის“ პირველი სპარტაკიადა აფხაზეთში

საერთო გუნდურ ჩათვლაში 600 ქულით პირველი ადგილი დაიკავა სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკების პროფკავშირების საოლქო კომიტეტის გუნდმა, მეორე ადგილზე 590 ქულით გავიდა სახალხო განათლებისა და მეცნიერების პროფკავშირების კოლექტივი, მესამეზე — მშენებლობის და სამრეწველო-სამშენებლო მასალების მუშაკთა პროფკავშირების გუნდი, რომელმაც მოაგროვა — 500 ქულა.

— ასეთია საბოლოო შედეგი პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების („შევარდნი“) აფხაზეთის პირველი საოლქო სპარტაკიადისა, რომელშიც მონაწილეობდა დარგობრივი პროფკავშირების 8 ნაკრები გუნდი. პროგრამაში იყო ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, შაში, ძალოსანთა კონკურსი, ტყვიის სროლა, მძლეოსნობა. მონაწილეთა ასაკი შეზღუდული არ ყოფილა.

უნდა აღვნიშნოთ მსაჯთა ბრიგადის (შთავარი მსაჯი რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ნოდარ კვირკველია) კვალიფიციური მუშაობა.

სპორტსაზოგადოების საოლქო საბჭოს პასუხისმგებელმა მუშაკმა, სსრ კავშირის სპორტის ოსტატმა ფრენბურთში ევგენია კორკოვამ გვითხრა, რომ ასეთი სპარტაკიადები ტრადიციულად ჩატარდება და მომავალში პროგრამის სპორტის სახეობების რაოდენობაც გაიზრდება.

თენგიზ კაკაბაძე.
ხობელი.

ტორონტო. პროფესიონალ ჰოკეისტთა ჩემპიონატს დივიზიონების მიხედვით ლიდერობენ: „პატრიკში“ — „ნიუ-იორკ რეინჯერსი“ — 35 ქულა, „ადამსში“ — „ბუფალო სეიბრიზი“ — 42 ქულა, „ნორისში“ — „ჩიკაგო ბლეკ ჰოუკსი“ — 38 ქულა, „სმითში“ — „ედმონტონ ოილერზი“ — 38 ქულა.

ტელეფაქსი — მკითხველი

პლანტეიშენი (აშშ). აქ დაიწყო ნორჩ ჩოგბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი „სანშაინ კაპი“. პირველ წრეში საბჭოთა ნაკრებმა დაამარცხა ინგლისის გუნდი — 2:1. გამარჯვებები მოიპოვეს და შემდეგ წრეში თამაშის უფლება მიიღეს, აგრეთვე, აშშ-ს, შვეიცის, არგენტინის, გფრ-ის, იტალიის, კანადისა და ესპანეთის ნორჩმა ჩოგბურთელებმა.

ნიუ-იორკი. ვოსკრესენსკის „ხიმიკის“ ჰოკეისტებმა აშშ-კანადის ტურნეს ბოლო, მეექვსე მატჩი „სენტ-ლუის ბლიუზთან“ ჩაატარეს და მოიგეს 6:3. ტურნეს საბოლოო შედეგია 3:3.

ჭაბუკ მოკრივეთა VIII საერთაშორისო ტურნირი

გაზეთ „ვეჩერნი თბილისის“ პრიზზე



ს უ რ ა თ ი: ზაალ ჯავახაძისა (მარჯვნივ) და სტანისლავ ეფაკოვის ორთაბრძოლის ეპიზოდი. გაიმარჯვა ქართველმა მოკრივემ.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

შეჯიბრების ანგარიში იხილეთ მე-4 გვერდზე

ალბერნატივა? — მკითხველი ასე ფიქრობს...

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

წინადადებები, შენიშვნები, მოსაზრებები

„დინამო“ საქართველოს ჩემპიონატზე?!..

ჩემი აზრით, ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, ჩვენს გუნდებს თუ დაუშვებენ ევროპულ ტურნირებზე. თუ არა, ეროვნულ ჩემპიონატს პერსპექტივა არ ექნება. მე პირადად და ბევრი ფეხბურთის თაყვანისმცემელი ყოველწლიურად „ვგეგმავთ“ თბილისის „დინამოს“ მონაწილეობას ევროპულ ტურნირში. თუ წინასწარ გადაწყდა, რომ „დინამო“ ევროპის მასშტაბით არ გამოვა, გუნდი დაკარგავს პოპულარობას.

იმ შემთხვევაში, თუ დაგვიშვებენ ევროპულ ტურნირზე, ეროვნულ ჩემპიონატში უნდა მონაწილეობდეს 12 ან 14 გუნდი. ჩემპიონატში უნდა მიიღოს მონაწილეობა საქართველოს ყველა იმ კოლექტივმა, რომლებიც ამჟამად უმაღლეს, პირველ და მეორე ლიგებში გამოდიან. სხვაგვარად ვერ წარმომიდგენია რატომ უნდა გამოვიდეს თბილისის „დინამო“ საქართველოს ჩემპიონატზე.

ვალერი კურტანიძე,
სოფ. ჩხერი.

ძვირფასო რედაქცია!

თუ საქართველო მიაღწევს იმას, რომ გახდეს უეფა-ს წევრი ქვეყანა და ჩვენს კლუბებს დაუშვებენ ევროპის სათასო ტურნირებში, სამივეში თუ არა, ერთში მაინც, მაშინ, რასაკვირველია, უნდა ჩავატაროთ დამოუკიდებელი ჩემპიონატი, თუ ამას ვერ მივაღწევთ, მაშინ სსრკ-ის ჩემპიონატის მიტოვება სისულელე იქნება, რადგან მისი შეშვეობით გვაქვს უკანასკნელი შანსი ქართული გუნდების ევროპის ასპარეზზე გასასვლელად. ჯერჯერობით ესაა მწარე სინამდვილე. დავკარგოთ უკანასკნელი შანსი?

რაკი უმაღლეს ლიგაში კი არა, პირველ ლიგაშიც ვერ იტანენ ჩვენს გუნდებს, რომ მივატოვოთ, პირიქით, გაუხარდებათ. მტრები გავახაროთ? ამასაც თავი დავანებოთ, საერთაშორისო ასპარეზზე ხომ ვეღარ გავალ, საკუთარ ბაჭუაში ჩავიკეტოთ?

თუ გავხდებით უეფა-ს წევრი ქვეყანა და დაგვიშვებენ ევროპის სათასო ტურნირებში, მაშინ:

— უნდა ჩამოვაყალიბოთ 4 ლიგა. თითოეულ ლიგაში შევა 18 გუნდი. თავდაპირველად პირველ ლიგაში მონაწილეობას მიიღებს თბილისის ორი გუნდი და კიდევ 16 გუნდი ყველაზე მრავალრიცხოვანი ქალაქებიდან. ასეთი წესით უნდა შეირჩეს გუნდები დანარჩენ სამ ლიგაშიც, ორ-სამ სეზონში ჩემპიონატი თავის სახეს მიიღებს. შეჯიბრება ლიგებში ჩატარდება წრიული სისტემით: ერთი მატჩი — შინ, მეორე — სტუმრად. პირველ ლიგაში ბოლო სამ ადგილზე გასული გუნდი (სამი იმიტომ, რომ კონკურენცია მაღალი იყოს) გადავა მეორე ლიგაში, მეორე ლიგის პრეზიორები — პირველში და ასე შემდეგ მეოთხე ლიგამდე. მეოთხე ლიგაში ბოლო ორი გუნდი დატოვებს ლიგას.

ამ ოთხი პროფესიული ლიგის გარდა უნდა ჩატარდეს საქართველოს 2 ზონალური ჩემპიონატი. აღმოსავლეთ საქართველოსი — ცალკე, დასავლეთისა — ცალკე. ზონებში გამარჯვებული თითო გუნდი შევა მათ ნაცვლად მეოთხე ლიგაში. ზონებში უნდა ჩავატართ რაიონების პირველობები, რომლებიც გუნდებს ასაზრდოებენ. ზონების რაიონულ ჩემპიონატებში მოთამაშე გუნდებს ექნებათ სამოყვარულო სტატუსი. ჯერ ერთი — ალბათ იმდენი თანხა საქართველოში არ იქნება, რომ ყველას გადაუხადონ როგორც პროფესიონალებს, მეორე — მათ ექნებათ სტიმული მიაღწიონ უფრო მაღალ საფეხურს — მიიღონ პროფესიონალის სტატუსი.

სხვათა შორის, ჩვენ უნდა წავიდეთ იმაზე, რომ პირველი ლიგის სამ გუნდში მოვუყაროთ თავი რესპუბლიკის უძლიერეს ფეხბურთელებს. მიზანი? შევქმნათ სამი თანაბარი სიძლიერის გუნდი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ სამ ევროპულ ტურნირში. ჩემპიონებისა და პრეზიორების მატერიალური და მორალური წახალისება მოხდება იმ წესით, როგორც აკეთებენ დასავლეთის პროფესიული გუნდების ხელმძღვანელები. ამ საკითხს, ვფიქრობთ, ჩვენი ფეხბურთის მესვეურები კარგად შეისწავლიან, თუმცა ფაქტია, ჩვენ დასავლეთს ვერ შევედრებით. რაც შეეხება პერსპექტიულ ფეხბურთელებს, მათ მეურვეობას გაუწევენ პროფესიონალი კლუბები, ისინი ხომ დაინტერესებული იქნებიან ახალი „ვარსკვლავების“ აღმოჩენით. მათ ალბათ ეყოლებათ ახალგაზრდული გუნდებიც, როგორც დასავლეთის „პროფებს“.

აიწევს საქართველოს თასის გათამაშების ავტორიტეტიც. გამარჯვებული ხომ თასების მფლობელთა თასის გათამაშებაზე გავა. ეს ტურნირიც ჩატარდება დაძაბულად და საინტერესოდ. ერთადერთი, რისიც მეშინია, ესაა ფეხბურთელთა, მაყურებელთა და ხელმძღვანელთა ქცევის ნორმები. ვიცით რაც ხდება ახლა საქართველოს ჩემპიონატზე. მაშინ?

ც. ჭეჟდლიშვილი.

ოქროს ჯაჭვი და თავისუფლება?!

დემოკრატია და აზრის პლურალიზმი კარგია, მაგრამ ამ ქვეყნად არსებობს საკითხები, რომლებზეც ყველას ერთი აზრი აქვს. მაგალითად: აუცილებელია თუ არა ადამიანისთვის ახლობლების სიყვარული, სმენა, ხედვა და სხვ. ამავე კატეგორიისაა თავისუფლების ცნება, თუმცა „ლელოში“ გამოქვეყნებული ზოგიერთი პუბლიკაციის ავტორის პოზიცია ამ ჭეშმარიტებებს სადავოდ ხდის. „ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებს“... ამ სულისკვეთების გამოძახილი იგრძნობა ზოგიერთის წერილში. „ბოლოს და ბოლოს ოქრო თუ ასე გიყვარს, სხვას კი ნუ დაებმევინები ბაგაზე ოქროს ჯაჭვით, თავისუფლება მოიპოვე, ოქროს ჯაჭვი გამოჭედე და სამკაულად იხმარე. ასე უფრო შეიგრძნობ მის მომხიბლაობასო“, ქადაგებენ თავისუფლების მოტრფიალენი. ასევეა ყველაფერში, და მათ შორის ფეხბურთშიც. განა შეიძლება ქართველი კაცი არ იყოს მომხრე საქართველოს დამოუკიდებელი ჩემპიონატისა?!

გაუგებარია იმათი პოზიცია, ვინც საქართველოს ჩემპიონატის აუცილებლობას უარყოფს იმ მიზეზით, ქართული ფეხბურთის კლასი დაქვეითდებაო.

საერთოდ, გვაქვს კი ქართული ფეხბურთი იმ სახით, რასაც ამ სიტყვებში ვგულისხმობთ? თუ ეს მხოლოდ ტრადიციულად მომდინარე თვალსაზრისია?! როგორია ქართული ფეხბურთი დღეს? ადრე თბილისის „დინამო“ იყო ქართული ფეხბურთის მეტრი. შეიძლებოდა მის მაგალითზე ქართული ფეხბურთის თუ სრული არა, მიახლოებითი სახის განსაზღვრა მაინც, ნაწილობრივ იმიტომ, რომ „დინამო“ თუმცა ეროვნული გუნდია, სხვადასხვა მიზეზთა გამო სრული ეროვნული ხასიათის გამოხატულება ვერ იქნება. თუნდაც იმიტომ, რომ იგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობს და, უნდა თუ არა, საერთო სტილი მასზე მაინც ახდენს უდიდეს გავლენას. შეიძლება ვცდები (ღმერთმა ქნას), მაგრამ ქართული ფეხბურთი, როგორც დამოუკიდებელი ფენომენი, თვალსა და ხელშუა გვეკარგება და თუ გადამჭრელი ზომები არ მივიღეთ, მისი დაბრუნება დიდ სიძნელეებთან იქნება დაკავშირებული.

საჭიროა თუ არა ცალკე ეროვნული ჩემპიონატი ჩვენთვის, ქართველებისათვის? აუცილებლად! დღესვე! მეპატიოს კატეგორიულობა, მაგრამ საწინააღმდეგო აზრი საერთო ეროვნული საქმის საზიანო მგონია. თუ დღეს ეს შეუმჩნეველია, შემდეგში იგი აუცილებლად უარყოფითად იმოქმედებს ქართული ფეხბურთის განვითარებაზე.

შეიძლება საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება, როცა რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაშია? თუ ზოგიერთს დავუჯერებთ, იურიდიულად ეს შესაძლებელია. ყოველ შემთხვევაში, თუ გვაქვს ეს უფლება, დაუყოვნებლივ უნდა ვისარგებლოთ. თუ არა გვაქვს, უნდა ვიბრძოლოთ მის მისაღწევად, რადგან, ადრე თუ გვიან მაინც მოგვიწევს მისი ორგანიზება. მოგეხსენებათ, მარადიული არაფერია ამ მზისქვეშეთში და ჩვენც დამოუკიდებლობისთვის აქედანვე უნდა ვემზადოთ. თავისუფალ საქართველოს ქართველი კაცის თავისუფალი გული და გონება სჭირდება, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი კი მხოლოდ ხელს შეუწყობს თავისუფლების მოპოვებას და არა მარტო ფეხბურთში. დაქვეითდება თუ არა ქართული ფეხბურთის დონე? (ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებად ხომ ამას ასახელებენ ოპონენტები).

თუ ისინი ქართული ფეხბურთის დონეს მხოლოდ თბილისის „დინამოს“ თამაშით განსაზღვრავენ, შეიძლება ასეც მოხდეს. მაგრამ დონის დაქვეითება ხომ მაშინაცაა მოსალოდნელი, როცა საქართველო დამოუკიდებელი გახდება და, გვინდა თუ არა, ეროვნული ჩემპიონატი უნდა ჩამოვაყალიბოთ?

კამათში იკვეთება რამდენიმე პოზიცია:

1. ეროვნული ჩემპიონატი ჩატარდეს უმაღლეს და პირველ ლიგაში მონაწილე ჩვენი გუნდების გარეშე;
2. ჩატარდეს ამ გუნდების მონაწილეობით;
3. ჩატარდეს ამ გუნდების მონაწილეობით, მაგრამ შემოდგომა-გაზაფხულზე;
4. სიტუაცია არაა მომწიფებული ეროვნული ჩემპიონატის ჩასატარებლად,
5. არავითარი ეროვნული ჩემპიონატი;
6. საფეხბურთო სეზონის ბოლოს მოვაწყოთ „დამოუკიდებლობის თასის“ გათამაშება და ჯერ-ჯერობით ამით დავკმაყოფილდეთ.

აზრთა სხვადასხვაობაა აგრეთვე მიზანთან მისასვლელი გზის განსაზღვრაში:

1. ჯერ ეროვნული დამოუკიდებლობა, მერე ეროვნული ჩემპიონატი;
2. ჯერ ეროვნული ჩემპიონატი, მერე ეროვნული დამოუკიდებლობა;
3. ჯერ უეფა-სთან და ფიფა-სთან მოგვარდეს გარანტიის საკითხი და შემდეგ გადავიდეთ დამოუკიდებელ ჩემპიონატზე;
4. ჯერ საერთოდ გადაიდოს ამ საკითხზე მსჯელობა.

როგორი იქნება ეროვნული ჩემპიონატის სტრუქტურა ან მასში მონაწილე გუნდების რაოდენობა, შემადგენლობა (იგულისხმება უმაღლესი ლიგა)? ცხადია, ამას სპეციალისტები განსაზღვრავენ, მე კი, თუ კადნიერებაშიც არ ჩამომერთმევა, რიგითი გულშემატკივრის გულუბრყვილო მოსაზრებას გაგიმხელთ ამის შესახებ. მე ეს პროცესი ასე წარმომიდგენია: **თავდაპირველად ალბათ გუნდები უნდა შეირჩეს და მათ შორის გათამაშდეს საქართველოს პირველობა სეზონის განმავლობაში, შესაძლოა ისინი 4-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, ნორმალურად რომ დაიტვირთონ. გასაგებია, რომ ამ გუნდების დონე განსხვავებული იქნება. ისიც ცხადია, „დინამო“ და „გურია“ ფავორიტები იქნებიან, მაგრამ შემდეგში მათ თანდათან გაუჭირდებათ, რადგან სხვა გუნდების კლასიც თანდათან ამაღლდება ძლიერი ფეხბურთელებისა და მწვრთნელების მოწვევის ხარჯზე.** სხვანაირად გუნდები და ფეხბურთელები კონკურენციას ვერ გაუძლებენ (იგულისხმება პროფესიულ ფეხბურთში ყიდვა-გაყიდვა, გადაბირება, ფინანსური დაინტერესება ხომ დიდად განაპირობებს ფეხბურთელის კლასის დონის ამაღლებას). შეიძლება უცხოეთიდან ფეხბურთელების ყიდვაც. აგრეთვე იქნებ მოხერხდეს ჩვენი ახალგაზრდა პერსპექტიული ფეხბურთელები საზღვარგარეთ მივავლინოთ დასაოსტატებლად სტაჟირებაზე.

ჩვენ გვყავდა საერთაშორისო კლასის არა ერთი ფეხბურთელი და, მე დარწმუნებული ვარ, მათი ოსტატობა უფრო მაღალი იქნებოდა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ნაცვლად რომელიმე წამყვან საფეხბურთო ქვეყანაში რომ ეთამაშათ, სადაც, გარდა ფეხბურთისა, სპორტსმენს სხვა საზრუნავი არ ვააჩნია.

ნიჭი და შრომა ცხადია, უპირველეს ყოვლისა, მაგრამ იმასაც ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს სად, როგორ პირობებში გიხდება მოღვაწეობა. განა ცოტას ნიშნავს ეროვნული ნაკრების სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში მონაწილეობა, ანდა საკლუბო გუნდების თამაშები ეროვნულ ტურნირებში?

ეროვნული ჩემპიონატის შემთხვევაში ხომ ყოველ წელიწადს სულ ცოტა სამი გუნდი მაინც მიიღებს მონაწილეობას ევროპულ ტურნირებში (ჩემპიონი, თასის მფლობელი და მეორე ადგილზე გასული უეფა-ზე). ნუთუ ვინმე ფიქრობს, რომ სამივე გუნდი სამუდამოდ აუტსაიდერი იქნება და პირველივე წრიდან გამოეთიშება გათამაშებას? თავიდან შეიძლება ასეც მოხდეს, მაგრამ მერე და მერე, ვფიქრობ, მოწინააღმდეგეებს არ დავნებდებით. ასეთი ტურნირები უეთუოდ შეუწყობს ხელს ჩვენი ფეხბურთელებისა და მწვრთნელების კლასის ამაღლებას. ვიმეორებ, ეს ერთბაშად არ მოხდება, დრო და მოთმინებაა საჭირო. გავიხსენოთ თურქეთის მაგალითი. ათეული წლებია თურქეთის გუნდებმა საფეხბურთო სამყაროს თავი ვერაფრით დაამახსოვრეს. მხოლოდ ამ ბოლო წლებში იგრძნობა მათ თამაშში გარკვეული პროგრესი. როგორც „ლელო“ იუწყებოდა, ოქტომბერში თურქეთის ცნობილ გუნდს „ტრანზისტორს“, რომელიც ხშირად გამოსულა ევროპულ ტურნირებში, ბათუმის „დინამომ“ 5:2 მოუგო. მართალია, აქედან შორს მიმავალ დასკვნებს ვერ გავაკეთებთ, მაგრამ ოპტიმიზმის საფუძველს კი გვაძლევს. ვიყოთ ოპტიმისტები და, უპირველეს ყოვლისა, რეალისტები. **ეროვნული ჩემპიონატის შექმნა ისე ადვილი ხელაც არ იქნება, მე რომ წარმომიდგენია. უპირველეს ყოვლისა მთელი ჩვენი საფეხბურთო მეურნეობა რადიკალურად უნდა შეიცვალოს.** წარმოუდგენელია ჩვენი ფეხბურთის დონის ამაღლება, სანამ პირველი და მეორე რანგის გუნდების მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, ვიდრე უმაღლესი ლიგისა. რატომ შეიწუხებს თავს ფეხბურთელი, თუ კი შეუძლია ნაკლები შრომით უკეთესად იცხოვროს. მარტო სახელისთვის?

ყველა გუნდი პროფესიულ საფეხბურთო კლუბად უნდა იქცეს (ოავდაპირველად უმაღლესი და პირველი ლიგები მაინც) **და თავად მიხედოს თავის მეურნეობას,** თავდაპირველად კი აუცილებლად დაჭირდებათ დახმარება.

მე იმედით შევყურებ მომავალს: თუ გვეღირსა ეროვნული ჩემპიონატი, მასთან დაკავშირებულ იმ უამრავ საკითხს, დღეს ასეთი ძნელი მოსაგვარებელი რომ გვეჩვენება, არა მგონია იმაზე მეტი დრო დასჭირდეს, ვიდრე თბილისის „დინამოს“ კრიზისიდან გამოსვლას. აგერ, რამდენი წელია კრიზისი გრძელდება და როდის დამთავრდება, არავინ იცის. კიდევ ერთი: ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატს და მისთვის მოღვაწე ხალხს უმადურად და უსამართლოდ არ უნდა მოვექცეთ.

მრავალი ჩემპიონატის შემოღებასთან ერთად უნდა გაქართულდეს გუნდების სახელწოდებებიც „დინამო“, „ტორპედო“ და სხვა. სახელს შეცვლით ისტორია არ იკარგება. მტკიცედ მწამს სიკეთისა და სამართლიანობის გამარჯვებისა. ადამიანი ხომ მთელი ცხოვრება არჩევანის წინაშე დგას, ღმერთი კი რჩეულ ხვედრს მხოლოდ რჩეულებს არგუნებს ხოლმე! ესაა ყველა დიდი საქმის დასაწყისი.

ვანო ბერიძიაშვილი,
ტელევიზიის ხალხური შემოქმედების მთავარი რედაქციის უფროსი რედაქტორი.

უარი უნდა ვთქვათ ეროვნულ ჩემპიონატზე

მე ფეხბურთის სპეციალისტი არა ვარ და, ცხადია, სპეციალისტის დონეზე ვერ შემოგთავაზებთ ჩემს აზრს წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ სოლიდური გულშემატკივრის სტატუსი, რომელიც გამაჩნია, ვფიქრობ, მაძლევს უფლებას ჩავება კამათში.

თბილისის „დინამოს“ გულშემატკივარი ვარ 1950 წლიდან. ხშირად ვყოფილვარ ჩვენი საყვარელი გუნდის როგორც აღორძინების, ისე ჩავარდნის მოწმე. იმდენად განვიცდი დინამოელთა ბედს, რომ ჩემს შრომისნაყოფიერებაზე გარკვეულ გავლენას ახდენს (ექიმებმა ნაადრევი სიბერის დიაგნოზიც კი დამისვეს).

ჩემი ღრმა რწმენით (ვეცდები დავასაბუთო), ჯერჯერობით საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება ფეხბურთში სრული აბსურდია და აი რატომ:

1. თბილისის „დინამოს“, თუნდაც დღევანდელ პირობებში რომელი ქართული გუნდი გაუწევს მეტოქეობას? ვფიქრობ, ვერც ერთი, მათ შორისაა ლანჩხუთის „გურია“, რომელიც წელს უმაღლეს ლიგაში გადავიდა. სხვა გუნდების კონკურენცია ხომ გამორიცხულია. მართალია, სხვაგან — ბათუმის „დინამოში“, სოხუმის „დინამოში“, ქუთაისის „ტორპედოში“, ფოთის „კოლხეთში“, სამტრედიის „ლოკომოტივში“ და სხვა გუნდებში გვყავს იმედის მომცემი ერთეული პერსპექტიული ფეხბურთელები, მაგრამ მათ ხომ კარი ღია აქვთ საქართველოს პირველ გუნდში სათამაშოდ? თუ ეს ფეხბურთელები თავიანთ გუნდებში დარჩებიან, საიდან მიიღოს შევსება თბილისის „დინამომ“, რომელიც ფაქტიურად რესპუბლიკის ნაკრებია და ჩვენი ღირსება უნდა დაიცვას საერთაშორისო სარბიელზე? „დინამო“ ყოველთვის იყო საბაზო გუნდი, საუკეთესო და იმედის მომცემი ფეხბურთელების საბოლოო ნავსაყუდელი. თუ ისინი საქართველოს სხვადასხვა გუნდებში დარჩებიან, მათი ოსტატობა ვერ მიაღწევს ისეთ დონეს, რომ მათ ბაზაზე შეექმნათ ეროვნული ნაკრები. არც ის არის დასამალი, რომ მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელების დეფიციტს განვიცდით და კარგი ფეხბურთელი თავისით არ მოდის დიდ ფეხბურთში.

ხშირად გვსმენია წამყვანი სპეციალისტების გამოსვლები ტელევიზიით თუ პრესის ფურცლებზე, რომ ამა და ამ გუნდს ევროპის სათასო მატჩებში ან სხვა პრესტიჟულ ჩემპიონატებში გამოცდილება არ ეყო და ამიტომ წააგო. ეს მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში საფეხბურთო კონკურენცია კულმინაციურ წერტილამდეა აყვანილი, ჩვენ კი გვინდა საკავშირო ჩემპიონატის გვერდის აღლით დიდ სარბიელზე გავიდეთ? ვფიქრობ, ეს არავითარ სარგებლობას არ მოგვიტანს.

3. სპეციალისტებისადმი თხოვნა, მიიღონ მონაწილეობა დისკუსიაში, უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს. რიგითი გულშემატკივრის კამათი საქმეს ვერ უშველის.

გურამ მაისურაძე.
თბილისი.

დავრჩეთ უმაღლეს ლიგაში...

ვინმეს თუ მიაჩნია მართებულად, რომ ეროვნული ჩემპიონატი უფრო მაღალი დონისა იქნება, ვიდრე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი, იგი საერთოდ ვერ ერკვევა ფეხბურთში. განა ეყოლება ისეთ ჩემპიონატს მაყურებელი, სადაც მხოლოდ ორი გამოკვეთილი ფავორიტი ითამაშებს?

არავითარი ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში! ეს ქართული ფეხბურთის შემდგომი განვითარების არასწორ გზად მიმაჩნია.

მერაბ მდივნიშვილი.
თბილისი.

• • •

რედაქციისაგან: ამავე თემაზე „ლელოს“ წინა ნომერში გამოქვეყნებული წერილის „ამას პატრიოტიზმი გვკარნახობს?“ ავტორია ნოდარ გელაშვილი. გელაშვილი შეცდომითაა მოყვანილი ავტორისეული დედნიდან.

საჭიროა მუდმივი კომიტეტი

ჰიდაობა ჩვენი: ქართული...

პირველი საერთაშორისო ტურნირი ქართულ ჰიდაობაში, მიუხედავად იმისა, რომ უცხოელი მონაწილეები ვერ შეიკრიბნენ, მაღალ დონეზე, მეტად საინტერესოდ ჩატარდა. ოფიციალურადაც გამოცხადდა და ჩვენი, გულშემატკივრების სურვილიც ის არის, რომ ეს დიდი ხნის ნატრული ახპარეზობა, რომელიც, ცხადია, თანდათან მეტ ლაზათსა და მნიშვნელობას შეიძენს, ტრადიციად იქცეს.

პირველი ტურნირის ღირსეულად ჩატარებას მრავალი ადამიანის გულმოდგინე შრომა დასჭირდა. საქმაოდ დიდი თანხა გაიცა ჯილდოების სახითაც. მომავალშიც, რასაკვირველია, ასე იქნება. კვლავ შეიკრიბება საორგანიზაციო ჯგუფი, რომელიც სამოქმედო გეგმის შედგენისას უთუოდ პირველი ასპარეზობის ჩასატარებლად. ცხადია, ასეთ სიდინჯეს და აუჩქარებლობას შედეგიც უკეთესი მოსდევს.

ამიტომ ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ ქართული ჰიდაობის საერთაშორისო ტურნირისთვისაც შეიქმნება ასეთი მუდმივი კომიტეტი. ცხადია, ცალკე საშტატო ერთეულების გამოყოფას და ჯამაგირების დანიშვნას არ ვგულისხმობ. კომიტეტში შევლენ ქართული ჰიდაობის ენთუზიასტები და ის ხალხიც, ვისაც თანამდებობრივი მდგომარეობის გამო ამ საქმის უკეთ გაძღოლა შეუძლია. საბჭო პერიოდულად შეიკრიბება (თუნდაც თვეში ერთხელ), მისი წევრები წამოაყენებენ თავიანთ წინადადებებს, გაანალიზებენ სხვების მოსაზრებებსაც, გზადაგზა დახვეწენ, გაამდიდრებენ მათ და შეჯიბრებას ყოველმხრივ მოფიქრებულნი შეხვდებიან. აქვე მინდა შევნიშნო: ქართულ ჰიდაობაში პირველ საერთაშორისო ტურნირზე უცხოელ მოჰიდავეთა რიცხვი უფრო დიდი იქნებოდა, საორგანიზაციო კომიტეტს თავიდანვე დიდი თადარიგი რომ დაეჭირა და მეტი შეუპოვრობა გამოეჩინა ამ კონკრეტულ საკითხში (მიუხედავად იმ წინააღმდეგობისა, რომელიც „ცენტრისთვის“ გვერდის აქცევით უცხოელ სპორტსმენთა მოწვევას ეღობება).

იმედი მაქვს, ეს წინადადება მიიპყრობს ქართული ჰიდაობის გულშემატკივართა ყურადღებას.

გიორგი ჩოჩიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო უნდა გვქონოს!

(დასასრული)

დაბრუნებას და მის შემდგომ დანერგვას, ალბათ დრო სჭირდება, ამიტომ ჩვენ მხოლოდ ხაზს ვუსვამთ იმას, რომ გუნდს სწორი გზა აურჩევია და მისი რეალიზაციის პირველ ნიშნებს უკვე ვხედავთ.

თბილისის „დინამო“ ჩემპიონატის მონაწილე გუნდებს შორის, ყველაზე ახალგაზრდული კოლექტივია. ეს მისი ძალაც არის და... დღესდღეობით უბუდურებაც. ძალა იმიტომ, რომ ახალგაზრდების წარმართვა სასურველი მიმართულებით უფრო ადვილია, უბედურება კი იმიტომ, რომ გუნდს თავისი ჩანაფიქრის რეალიზაციისთვის დრო არ ჰყოფნის. იგი სახიფათო ზონაში იმყოფება და ქვეცნობიერად ვალდებულია, მუდამ ადგილის შენარჩუნებისთვის იფიქროს.

ახალგაზრდობას, როგორც წესი, აკლია რწმენა, რაც დროთა განმავლობაში მოდის ხოლმე. რწმენა, გარკვეული დოზით, მწვრთნელებსაც სჭირდებათ. ბოლო დროს გუნდში ამ მხრივაც გარკვეული ურთიერთგაგება დამყარდა. სწორედ ამ ურთიერთგაგების და ნდობის გამოხატვა იყო, რომ გუშინწინდელმა დებიუტანტმა, თავის პირველ მატჩში მაყურებლების საერთო მოწონება დაიმსახურა. გუშინ იუბილარი ბაქრაძე იყო, ხვალ ან ზეგ კი... „დინამოში“ ბევრია ნიჭიერი ახალგაზრდა, რომლებიც თავიანთ რიგს ელიან.

თბილისის „დინამოს“ აქვს გარკვეული პოტენცია. ეს უდავო ფაქტი გახლავთ. მაგრამ ამ პოტენციის სრულ და ყოველმხრივ ამოქმედებას დიდი დრო და შრომა სჭირდება. გუშინწინდელი თამაშით ჩვენს გუნდს პრეტენზიაც ბევრი შეიძლება წავუყენოთ, აი, თუნდაც ის, რომ 20-ქულიანი სხვაობა ანგარიშში კალათბურთელებმა რამდენიმე წუთში დანაშაულებრივად გაფლანგეს. ან კიდევ ერთი ასეთი შტრიხი. სამქულიან სროლებს რომ წარმატებით ეუფლება გუნდი, დიდი საქმეა, მაგრამ ამ სროლებს ხშირად პარტიზანული წესით, ყოვლად გაუმართლებლად მიმართავს ხოლმე. უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერ სროლას კალათში აზრი აქვს მაშინ, როცა ფარქვეშ თუნდაც ერთი შენიანი გეგულება.

ეს ყველაფერი, ცხადია, ნიუანსებია, ხარვეზები, რომელთა გამოსწორება გზადაგზა შეიძლება. აი, ის კი მთავარი გახლავთ, რომ „დინამომ“ მიზნის მისაღწევად ერთადერთი სწორი გზა აირჩია. ოღონდ როგორმე დრო უნდა გვეყოს.

ნოდარ გუგუშვილი.

სხვა მატჩები

დონეცკი. ადგილობრივმა „შახტიორმა“ უმასპინძლა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელს ტალინის „კალევს“ და ორივე შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაამთავრა — 85:79 (42:40), 100:90 (48:56).

მინსკი. რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელებმა დაამარცხეს რიგის ვეფი-ი 97:94 (57:46).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 დეკემბრისთვის				
ცსკა	17	16	1	33
ვეფ (რიგა)	19	11	8	30
„კალევი“ (ტალინი)	19	10	9	29
რტი (მინსკი)	19	9	10	28
ასკ (ალმა-ათა)	16	11	5	27
„შახტიორი“ (დონ.)	20	7	13	27
„დინამო“ (მოსკ.)	16	10	6	26
„ავალგირისი“ (კაუნ.)	17	9	8	26
„ზუდვეელნიკი“ (კ.)	16	9	7	25
„დინამო“ (თბ.)	17	7	10	24
„სპარტაკი“ (ლენ.)	18	6	12	24
„სტატბა“ (ვილნ.)	20	2	18	22

„დნეპრის“ მეტოქეა „ბენფიკა“

გუშინ შვეიცარიის ქალაქ ციურიხში გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების მეოთხედფინალური ეტაპის წილისყრა.

ევროპის ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ მეტოქე იქნება პორტუგალიის ცნობილი კლუბი „ბენფიკა“. ამ გუნდების პირველი შეხვედრა მომავალი წლის 7 მარტს გაიმართება ლისაბონში, ხოლო საპასუხო — 21 მარტს „დნეპრის“ მინდორზე.

წილისყრა

მეოთხედფინალური ეტაპის წილისყრის საერთო შედეგები ასეთია:

ჩემპიონთა თასი

„ბენფიკა“ (პორტუგალია) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი), „სრედეცი“ (ბულგარეთი) — „მარსელი“ (საფრანგეთი), „მეჰელენი“ (ბელგია) — „მილანი“ (იტალია), „ბაიერნი“ (გფრ) — „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია).

თასების მფლობელთა თასი

„სამპდორია“ (იტალია) — „გრასჰოპერსი“ (შვეიცარია), „ვალიადოლიდი“ (ესპანეთი) — „მონაკო“ (საფრანგეთი), „დინამო“ (ბუქარესტი) — „პარტიზანი“ (იუგოსლავია), „ანდერლეხტი“ (ბელგია) — „ადმირა ვაკერი“ (ავსტრია).

უეფა-ს თასი

„ფიორენტინა“ (იტალია) — „ოსერი“ (საფრანგეთი), „კოლონი“ (გფრ) — „ანტვერპენი“ (ბელგია), „ლიეჟი“ (ბელგია) — „ვერდერი“ (გფრ), „ჰამბურგი“ (გფრ) — „იუვენტუსი“ (იტალია).

ბრაზილიელთა სამომავლო გეგმები

ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა სებასტიან ლაზარონიმ დარწმუნებით განაცხადა, რომ მისი გუნდი 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტია.

— ბრაზილიელებს ახლა ძლიერი გუნდი გვყავს, — თქვა მან, — და მსოფლიო ჩემპიონობის მეოთხედ მოპოვების კარგი შანსებიც გვაქვს. გარდა ამისა, წილისყრის შედეგებითაც კმაყოფილი ვართ, სადაც ჩვენი პირველი მეტოქეებია შვეიცარის, შოტლანდიისა და კოსტარიკის გუნდები.

თავის მთავარ ამოცანად ს. ლაზარონის მიაჩნია ნაკრების გენერალური სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება. იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ბრაზილიელები 6 ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს გამართავენ.

ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სებასტიან ლაზარონიმ გადაწყვიტა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის სამზადისის დროს აქცენტი გააკეთოს იმ ბრაზილიელ ფეხბურთელებზე, რომლებიც უცხოეთის კლუბებში გამოდიან (კარეკა, რომარიო, დუნგა, სილასი და სხვ.). კერძოდ, მან დაასახელა გუნდის შემადგენლობა, რომელიც მომავალ კვირას როტერდამში ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს გამართავს ჰოლანდიის ნაკრებთან. ბრაზილიის ნაკრების 16 წევრიდან 13 ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში თამაშობს.

ერთადერთი ფეხბურთელი, რომელმაც ს. ლაზარონის მოხმობილთაგან საყოველთაო გაოცება გამოიწვია, არის ჟულიო სეზარი. ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში



გუნდს შეხვდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1.

მ. პლატინი ნაკრების მწვრთნელად დარჩა

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ამ ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე დარჩა და მუშაობას განაგრძობს განთქმული ფეხბურთელი მიშელ პლატინი.

— ჩვენ მიშელ პლატინისთან ხელშეკრულება 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დასასრულამდე დავდეთ, — განაცხადა ფედერაციის წარმომადგენელმა. — პლატინის მრავალი საინტერესო იდეა აქვს საფრანგეთში ფეხბურთის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც ეროვნულმა ნაკრებმა თავი უნდა დაალწიოს კრიზისს. პლატინის მრავალი ხელსაყრელი მიწვევა ჰქონდა სხვადასხვა კლუბიდან, კერძოდ, იტალიის „იუვენტუსიდან“, მაგრამ მან ნაკრებში დარჩენა არჩია.

მ. პლატინის შარშან ნოემბრიდან ერთი წლით ჰქონდა გაფორმებული კონტრაქტი, საფრანგეთის გუნდმა მან უკანასკნელად 1987 წელს ითამაშა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში, ახლა კი საფრანგეთის „მონპელიეში“ გამოდის. მხოლოდ სამი „ჭეშმარიტი“ ბრაზილიელი კანდიდატია როტერდამის მომავალ მატჩში: მეკარეები ტაფარელი და ზე კარლოსი, აგრეთვე, მცველი დიდა.

ს. ლაზარონიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მას ნება არ დართეს ნაკრების შემადგენლობაში შეეყვანა ბრაზილიის წამყვანი კლუბების „ვასკო და გამასა“ და „სანპაულუს“ საუკეთესო ფეხბურთელები, ვინაიდან სწორედ მაშინ, როცა ბრაზილიელები როტერდამში ითამაშებენ, ამ გუნდებს ერთმანეთთან აქვთ უაღრესად პრინციპული შეხვედრა ბრაზილიის ჩემპიონის წოდებისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ბრაზილიელები ხშირად წარუმატებლად თამაშობენ ჰოლანდიის გუნდთან; 1963 წელს მათ ამსტერდამში ანგარიშით 0:1 წააგეს ამხანაგური მატჩი, ხოლო 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატში — 0:2 (მაშინ თამაში დორტმუნდში შედგა).

წარუმატებლად ითამაშა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში და ფინალში ვერ მოხვდა, მაგრამ საფრანგეთის სპორტული პრესა ახალგაზრდა მწვრთნელის ამ ჩავარდნას თანაგრძნობით შეხვდა. შესაძლოა ესეცაა იმის მიზეზი, რომ მიშელ პლატინის სურს განაგრძოს მუშაობა საფრანგეთის ნაკრებთან.

• • •

● **1986 წლის** მსოფლიო ჩემპიონი არგენტინელი ოსკარ გარეგამოეთხოვა მშობლიურ კლუბ „ფეროკარილ ოესტეს“ და ისრაელში გაემგზავრა. აქ იგი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბ „ჰაპოელ კვან საბაში“ ჩაირიცხა. გუნდს ახლა პოლონეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ვოიცეხ ლაზარეკი ამზადებს. სხვათა შორის, წლევანდლამდე ისრაელში მხოლოდ ებრაული ეროვნების მჭრნე უცხოელებს იღებდნენ. ახლა ეს შეზღუდვა მოისპო. გარეს გარდა აქ ჩამოვიდნენ მისი თანამემამულეები გონსალესი, კამინო, კასტალდო, დრაპიჩია, ურუგვაელი სილვო, პარაგვაის ნაკრების ლიდერი დელი ვალდესი, ბულგარელი ვალევი და პოლონელები კაპისი და ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი იეჟი ვიასი.

● **ინგლისის** კლუბები აგრძელებენ ისლანდიელ ფეხბურთელთა იმპორტს. სულ ახლახან „არსენალში“ ჩაირიცხა სიგი იონსონი, ახლა კი მოვიდა ცნობა, რომ „ნოტინგემ ფორესტმა“ 800 ათას გირვანქა სტერლინგად შეიძინა ტრავლდ ორლიქსონი, რომელიც ნაიჯელ კლაფთან ერთად შექმნის თავდასხმის გაორებულ ცენტრს.

● **ინგლისის** „სტოკ-სიტის“ მენეჯერმა ჯონ სილეტმა განაცხადა, რომ სურს რამდენიმე შეედი მოთამაშე იყიდოს. მათ შორის ნაკრების წამყვანი ნახევარმცველი კლას ინგესონი და „მალმიოს“ ბომბარდირი მარტინ დალინი. სილეტს სურდა ნახევარმცველ ნილსონის შეძენაც, მაგრამ მას დაასწრო „შეფილდ უენსდეიმ“. გუნდში ესპანეთის „ესპანიოლიდან“ დაბრუნდა ადრიან ჰეითი.

● **1982 და 1986** წლებში ტელესანტანა ბრაზილიის გუნდს წვრთნიდა, ბოლო დროს კი რიო-დე-ჟანეიროს „ფლამენგოში“ მუშაობდა. ახლა იგი დაითხოვეს. მიმომხილველთა აზრით, ამაში მთავარი როლი ითამაშა გუნდის ლიდერმა რენატომ, რომელიც სანტანამ თავის დროზე მსოფლიო პირველობაზე არ წაიყვანა.

1993 წელს დამთავრდება...

მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დადგენილება მიიღო იმის თაობაზე, რომ ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის ტრიბუნებს გაუკეთდეს საფარი.

ამ უზარმაზარი სტადიონის გადახურვა განზრახულია ეტაპობრივად. 1990 წელს ლუჟნიკის საფეხბურთო მინდორი მწყობრში იქნება და ჩატარდება მხოლოდ დამხმარე, მოსამზადებელი სამუშაოები. 1991 წელს სპორტული საქმიანობა არ შეწყდება ტრიბუნებქვეშა დარბაზებში, მაგრამ ფეხბურთისა და მძლეოსნობის სექტორები დაიხურება. 1992 წელს სტადიონი კვლავ მიიღებს ფეხბურთელებს და მძლეოსნებს, ხოლო 1993 წელს ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონის რეკონსტრუქცია მთლიანად დამთავრდება.

საინტერესოა ერთი რამ: რუსეთის კლიმატის სიმკაცრე ყველამ კარგად იცის, მაგრამ ჩრდილოეთის ქალაქებში მაინც ჯიუტად აშენებენ სტადიონებს ღია ტრიბუნებით. რა თქმა უნდა, ეს დიდ სიძნელეებს უქმნის მაყურებლებს, რომლებსაც თითქმის მთელი წელიწადი თოვლსა და წვიმაში უხდებათ ტრიბუნებზე ჯდომა. ლუჟნიკის სტადიონის ტრიბუნების გადახურვა ამ მხრივ, თუმცა ნაგვიანევი, მაგრამ მაინც აზრიანი გადაწყვეტილებაა.

• • •

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა საკავშირო თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩი მოსკოვის „ტორპედოსა“ და ოდესის „ჩერნომორეცს“ შორის ჩაატაროს 1990 წლის გაზაფხულზე. ოდესის „ჩერნომორეცის“ მიმართ წაყენებული ბრალდება, რომ მან მერვედფინალის პირველი შეხვედრა მოიგო ანგარიშით 1:0 და მერე საპასუხო მატჩზე არ ჩამოვიდა, არ დადასტურდა.

• • •

იმის თაობაზე, რომ მოსკოველმა არბიტრმა ს. ჰუსაინოვმა უხეში შეცდომებით იმსაჯა II ლიგის გადასასვლელი მატჩი ფერღანის „ნეფტიანიკსა“ და სოხუმის „დინამოს“ შორის, ბევრი დაიწერა. ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმმა დაადგინა ს. ჰუსაინოვს აეკრძალოს საკავშირო უმაღლესი და პირველი ლიგების შეხვედრათა მსაჯობა ნახევარი წლით, ხოლო საერთაშორისო შეხვედრებისა — 1990 წლის სექტემბრამდე.

მსოლოდ უკლიერმსჯი

ტყიბულში დამთავრდა საქართველოს პირველობა სამბოში 1971-1974 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. გაცნობებთ გამარჯვებულთა ვინაობას წონითი კატეგორიების მიხედვით:

48 კგ. პაატა ლეკვეიშვილი (ფოთი); **52 კგ.** ბადრი ბედიანაშვილი (მარტყოფი); **56 კგ.** კობა ლილუაშვილი (თბილისი); **60 კგ.** მერაბ დოლიძე (ბათუმი); **65 კგ.** გელა ღელუტაშვილი (თბილისი); **70 კგ.** ანზორ ხოზრევანიძე (ოზურგეთი); **75 კგ.** ალეკო თანდიაშვილი (თბილისი); **81 კგ.** თენგიზ ჭინჭარაძე (საგარეჯო); **87 კგ.** გია გვათუა (ფოთი); **97 კგ.** პაატა მულაძე (ხაშური); **+97 კგ.** გიორგი ხურციძე (ქუთაისი).

რამდენიმე დღის შემდეგ ტყიბულმა ახლა თავისუფალი სტილის მოჭიდაველებს უმასპინძლა, ხალიჩაზე ამჯერადაც 1973-1975 წლებში დაბადებული ჭაბუკები გამოვიდნენ. აი, გამარჯვებულებიც: **48 კგ.** თემურ ასაბაშვილი (თბილისი); **46 კგ.** ალექსი ალიმბარაშვილი (გორი); **50 კგ.** ზვიად აბუსერიძე (თბილისი); **54 კგ.** დავით პოღოსიანი (გორი); **58 კგ.** ზურაბ ქაფიაშვილი (თბილისი); **63 კგ.** პაპუნა კარელიძე (გორი); **68 კგ.** დავით სანაკოშვილი (თბილისი); **74 კგ.** გარი მედოსიანი (გორი); **81 კგ.** გოჩა გოგოლაძე (თბილისი); **88 კგ.** თამაზ კენჭიაშვილი (რუსთავი); **97 კგ.** ავთო მთაბარაშვილი (თბილისი); **მძიმე წონა.** შოთა გელაშვილი (რუსთავი).

საქართველოს სპორტსახკომის მთავარმა მწვრთნელმა თავისუფალ ჭიდაობაში ვაჟა იმერლიშვილმა აღნიშნა ტყიბულის სპორტკომიტეტის დიდი დახმარება შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებაში (თავმჯდომარე ვაჟა მერკვილაძე), აგრეთვე გამოთქვა გულისტკივილი იმის გამო, რომ ჭიდაობის ისეთ მდიდარი ტრადიციების მქონე ქალაქში, როგორიც თელავია, ამჟამად აღარ მიმდინარეობს მუშაობა სპორტის ამ სახეობის განვითარებისათვის და უკვე სამი წელია, იქაურ მოჭიდაველებს არც ერთ შეჯიბრებაში არ მიუღიათ მონაწილეობა.

ბ. ბიბაური.

ჭაბუკთა მოკრივეთა VIII საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ პრიზზი

როცა გამარჯვება ორმაგად ფასობს

ჭაბუკთა თბილისის ტრადიციული ტურნირი დასასრულს უახლოვდება, კრივის მოყვარულებმა უკვე გული იჯერეს ორთაბრძოლების ხილვით. დილა-საღამოს ისინი ოცდახუთ-ოცდაექვს შეხვედრას ადევნებდნენ თვალს. ამას თუ დავუმატებთ იმას, რომ გუშინწინ რინგზე გამოვიდნენ აბსოლუტური პირველობის „მაძიებელნი“, რითაც ამ დღის ბრძოლები დაგვირგვინდა, ქომაგებს სასაყვედურო არაფერი უნდა ჰქონდეთ. თუმცა გადაჭრით არც იმის თქმა შეიძლება, რომ ყველა პაექრობა მაღალი დონისა იყო, რომელსაც თვალს ვერ მოსწყვეტდით, არადა, ამას ვერც მოთხოვ 16-17 წლის ჭაბუკს, რომელიც ესესაა დაოსტატების გზას დაადგა. მაგრამ ამ ბრძოლების სიმრავლეში გამოერევა ისეთიც, რომელიც კარგა ხანს დაგვამახსოვრდება ხოლმე.

გამარჯვება ყოველთვის სასიხარულო და საამაყოა, მაგრამ, როცა იგი მოპოვებულია ისეთი ქვეყნის წარმომადგენელთან, როგორიცაა კუბა, მაშინ ეს წარმატება ორმაგად ფასობს. ჩვენს ტურნირზე მრავლად არიან კუბელი მოკრივეები, რომლებიც სიძლიერისა და ტექნიკური მომზადების ტონსაც აძლევენ შეჯიბრებას. ერთ-ერთი მათგანია როლანდო გონსალესი (48 კგ), რომელმაც ასპარეზობის პირველ დღეს დასაწყისშივე წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწყვა თურქ მურატ ტომირტაშს და „მშრალად“ — 5:0 სძლია მას. სხვათა შორის, ასეთივე ანგარიშით გაიმარჯვა მესტიელმა ჭაბუკმა რამაზ ფალიანმა სსრ კავშირის ნაკრების წევრ ლენინრანელ ზახიდ მეხტიევთან ბრძოლაში. ამის გამო ბევრს მიაჩნდა, რომ გამარჯვებულები პირველობას ფინალში შეეცილებოდნენ ერთმანეთს. მაგრამ წილისყრამ ისინი გაცილებით ადრე, ნახევარფინალამდე გაიყვანა რინგზე. მასპინძელმა სპორტსმენმა აგრესიულ მეტოქეს სწორ ტაქტიკური ბრძოლა დაუპირისპირა, რამაც მას წარმატება მოუტანა. მესტიელი პირველივე რაუნდიდან ავიწროებდა მეტოქეს და ზედიზედ გადადიოდა შეტევაზე. ბოლო რაუნდში კი შეცვალა ტაქტიკა და შეხვედრის დასასრული კონტრიერიშებზე აიგო, რამაც მას წარმატება მოუტანა, მისი გამარჯვება აღარავის აეჭვება.

თბილისის საერთაშორისო ტურნირი კიდევ იმითაც არის საინტერესო, რომ იგი თავს უყრის ჩვენს საუკეთესო ჭაბუკ მოკრივეებს, კერძოდ იმათ, რომელთა შესახებ გულშემატკივარს მხოლოდ ძუნწი ცნობები თუ მოეპოვება რესპუბლიკის გარეთ მათ წარმატებათა შესახებ. ახლა კი საშუალება გვეძლევა თვალნათლივ ვიხილოთ ისინი. აქ, პირველ ყოვლისა, თბილისელ მსოფლიო პირველობის პრიზიორი კახაბერ ბარავის (54 კგ) ვგულისხმობთ, რომელიც გამარჯვებით ჩაება ამ პრიზის გათამაშებაში და მანაც 5:0 სძლია მეტოქეს — სსრ კავშირის ნაკრების წევრს ვასილი მასლოვს. ასევე წილად ხვდათ წარმატებები ტურნირის შარშანდელ გამარჯვებულს პირველ საშუალო წონაში თბილისელ სტუდენტს აკაკი კაკაურიძეს, ზაზა თანაგუნდელიძეს ქუთაისელ გია გოლეთიანს (ორივე 71 კგ), კობა ჯაილავას (57), ზაალ ჯავახაძეს (60 კგ)...



სამწუხაროდ, რიონისპირელ სპორტსმენებს მხარი ვერ აუბა მათმა თანაქალაქელმა სპორტის ოსტატმა მოსე გოლოძემ, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თავისი მეგობრებისგან განსხვავებით, გოლოძეს გამოსვლა მოუხდა უაღრესად ძნელ ტურნირში, რომელსაც სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონატის ნახევარფინალი ჰქვია. ამისათვის იგი ცხადად არ აღმოჩნდა მზად და პირველსავე რაუნდში აშკარა უპირატესობით დამარცხდა საკმაოდ ძლიერ მეტოქესთან, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ სერგეი კრავჩენკოსთან. ამით მისი მეტოქე გავიდა ფინალში, რომელიც დღეს უძლიერესის სახელისათვის შეხვდება წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორ დიმიტროვგრადელ ევგენი სუდაკოვს. ამ უკანასკნელმა ეს უფლება მოიპოვა ნახევარფინალში დონეცკელი მოკრივის ვიქტორ აკშონოვის დამარცხების შედეგად.

გუშინ დილით გამართული ნახევარფინალური შეხვედრები წარმატებით განვლეს რინგის მასპინძლმა მოკრივეებმა და ტურნირის დასკვნით ბრძოლებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. ესენია: რამაზ ფალიანი, რომელმაც დაძაბულ შეხვედრაში დაამარცხა სსრ კავშირის ნაკრების წევრი ლენინგრადელი დამირ ენიკეევი, კახაბერ ბარავი (სძლია რუშინელ იონ ტატარუშანს), აკაკი კაკაურიძე (დაამარცხა სსრ კავშირის ნაკრების წევრი, კიროვაკანელი არაიკ გრიგორიანი), აგრეთვე გია გოლეთიანი, რომელმაც ჰოლანდიელ ორნან დელობასს დაუყრევინა ფარ-ხმალი. მათ გარდა ფინალში გავიდნენ დ. პროში (48 კგ, გდრ), ბაქოელი ტ. ალიევი, ბულგარელი ვ. კოსტოვი (ორივე —51), ომსკელი ა. ხისამუტდინოვი (54), ვოლგოგრადელი ი. ეშინინი, კრემენჩუგელი ო. სენჩენკო (ორივე — 75 კგ), კუბელი ხუან კესადა და ჩირჩიკელი ი. ჟურავლიოვი (ორივე +91).

უშანგ ჭიჭინაძე.

მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსნები

მონტე-კარლო. აქ დაასახელეს 1989 წლის მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსნები. ვაჟთა შორის პირველი სამი ადგილი დაისაკუთრეს: როჯერ კინგდომმა (აშშ), საიდ აუიტამ (მაროკო) და ხავიერ სოტომაიორმა (კუბა), ქალები — ანა კიროტმა (კუბა), პაულა ივანმა (რუმინეთი) და სანდრა ფერმერ-პატრიკმა (აშშ).

27 წლის კინგდომი მსოფლიოს რეკორდსმენია 60 და 110 მეტრზე თარჯრბენში, ორჯერ იყო ოლიმპიური ჩემპიონი. წლეულს 25-ჯერ მოიგო სხვადასხვა შეჯიბრება 110 მეტრზე თარჯრბენში. კიროტი საშუალო მანძილებზე დარბის. ბოლო ორი წლის მანძილზე 33 გამარჯვება აქვს მოპოვებული 800 მეტრიან დისტანციაზე. იგი ჰავანის ფიზიკულტურის ინსტიტუტის სტუდენტია.

„სპორტლოტო“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეჯამა „სპორტლოტოს“ 1989 წლის 50-ე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 1.816.067 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (27) მოგება 3.000 მანეთია, ოთხისთვის (2.532) — 35, სამისთვის (42.593) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 40.785 ვარიანტი. 6—0, 5—3, 4—50, 3—988.

„სპორტლოტო 5 36“-დან: ტირაჟში დაშვებულია 20.841.006 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (24) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (7.879) — 131, სამისთვის (253.176) — 8.

საქართველოში: დაშვებულია 273.921 ვარიანტი. 5—1 (თბილისი), 4—200, 3—6.593.

50-ე და 41-50 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1989 წლის 30 დეკემბრიდან 1990 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

„სპორტპროგნოზი“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1989 წლის 50-ე ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 4.705.612 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (111) მოგება 680 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (2.331) — 64 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (21.574) — 24 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 278.697 ვარიანტი. 13—7, 12—126, 11—1.294.

50-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 30 დეკემბრიდან 1990 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

რა აკლია საქართველოს ჩემპიონატს?

როგორც ვიუწყებოდით, გიორგი ეგნატაშვილის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დარბაზში მიმდინარეობს საქართველოს ჩემპიონატი ცალკეულ იარაღებზე და რესპუბლიკის თასის გათამაშება სპორტულ ტანვარჯიშში. შეჯიბრება გახსნეს ვაჟებმა, რომლებიც სავალდებულო პროგრამით ასპარეზობდნენ.

ოსტატთა შორის დაწინაურდა ნუგზარ ღვინიაშვილი — 55,75 ქულა, ოსტატობის კანდიდატთა შეჯიბრების ლიდერად მოგვევლინა ილია ვაშაკიძე — 52,9, ხოლო პირველთანრიგოსანთა შორის — გენადი სურმანიძე — 53.15.

ოსტატ გოგონათა შორის სავალდებულო პროგრამით 34,55 ქულით დაწინაურდა ლია აბდუშელიშვილი, ოსტატობის კანდიდატებში ქულათა თანაბარი რაოდენობა (34,85) მოაგროვეს თეა თოდაძემ და შორენა ბერუაშვილმა, პირველთანრიგოსანთა შორის დაწინაურდა შორენა გოგუაძე.

უდავოა, რომ შეჯიბრებას ბევრად მეტი ინტერესი ექნებოდა მასში მონაწილეობა რომ მიეღო ოლიმპიურ ჩემპიონს ვლადიმერ გოგოლაძეს. სამწუხაროდ, მას ტრავმა აქვს. არ გამოდიან, აგრეთვე ემზარ ფუნთუშაშვილი და ლევან სისაური, რომლებიც შეკრებაზე არიან საკავშირო ნაკრებ გუნდში.

ისეთ დიდ შეჯიბრებას, როგორიც საქართველოს ჩემპიონატი და თასის გათამაშებაა, ეს დარბაზი ვერ აკმაყოფილებს, მცირე ზომის გამო. მონაწილეთა მომზადების დონე საშუალოა. გამოცდილ მსაჯებთან ერთად ამ შეჯიბრებას ახალგაზრდა მსაჯებიც სჯიან. საერთოდ კი ტანვარჯიშმა, სამწუხაროდ, დაკარგა მაყურებელი. ეს იმითაცაა გამოწვეული, რომ ასპარეზობა მეტწილად დღისით მიმდინარეობს, ამ დროს კი ბავშვები სკოლაში არიან, ხოლო უფროსები — სამსახურში.

ისედაც მცირე ტევადობის დარბაზში სულ რამდენიმე მშობელი ადევნებდა თვალს მოასპარეზეთ. ეს იყო და ეს! შეჯიბრებას აშკარად აკლია აჟიოტაჟი.

გუშინ მოასპარეზენი ნებისმიერ პროგრამაში ცდიდნენ ძალებს. ფინალური პაექრობა კვირას გაიმართება.

გია ბურდული.

„მერანი“ № 26

ბამოვიდა გაზეთ „ლელოს“ საჰადრაკო დამატება „მერანის“ 1989 წლის ბოლო, 26-ე ნომერი.

მკითხველი ინტერესით გაეცნობა სსრ კავშირის ვაჟთა 56-ე ჩემპიონატის თეორიულ მიმოხილვას, რომლის ავტორიც გახლავთ ამავე ჩემპიონატის მონაწილე თბილისელი ოსტატი გია გიორგაძე.

დეტალურადაა განხილული ხაიფასა (ისრაელი) და ბელგრადში (იუგოსლავია) გამართული ევროპის ჩემპიონატი და ბელგრადის სუპერ-ტურნირი.

მესამე გვერდზე რედაქცია ჰადრაკის მოყვარულთ სთავაზობს ქ. ვოლგოგრადში (ოლიმპიადის ოლქი) დამთავრებული სსრ კავშირის ქალთა 1989 წლის ჩემპიონატის ცხრილს.

მეექვსე გვერდი დათმობილი აქვს პუბლიკაციას, თუ როგორ თამაშობენ უნგრელი დები პოლგარები. იქვეა მათი ფოტოსურათი, გადაღებული ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ჯორჯ ბუშთან სტუმრობის დროს. რუბრიკით „თქვენი სვლაა, მკითხველო“ რედაქცია ჰადრაკის გულშემატკივრებს სთავაზობს მეთერთმეტე დავალების პირობებს.

უკანასკნელ, მერვე გვერდზე კი მოთხრობილია სოხუმში ფუნქციონირებული კოოპერატივ „გამბიტის“ საკმაოდ საინტერესო და შინაარსიანი საქმიანობის შესახებ.

აზიური ფედერაციის პრეტენზიები

როგორც აზიის საფეხბურთო საბჭოს გენერალურმა მდივანმა ვეპა პანმა სინგაპურში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ აზიის რომელიმე ქვეყანა (ან ქვეყნები) წამოაყენებენ კანდიდატურას მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ჩასატარებლად.

ამავე დროს, დასძინა გენერალურმა მდივანმა, აზიის საფეხბურთო საბჭო მოითხოვს, რომ მსოფლიოს 1984 წლის ჩემპიონატში, რომელიც აშშ-ში ჩატარდება, აზიას დაეთმოს სამი და არა ორი ადგილი, როგორც ეს აქამდე იყო.

ინგლისის პარლამენტმა მიიღო კანონი

...რომელიც ფეხბურთის გულშემატკივრებს (თუ ვიგულშემატკივრებს) ეხება. ამიერიდან ინგლისის ყველა 92 პროფესიული კლუბის ქომაგები პირად წიგნაკებს მიიღებენ, რომლითაც შევლენ სტადიონებზე. სტადიონის შესასვლელებთან დადგამენ გულშემატკივართა გვარების „დამამახსოვრებელ“ ელექტრონულ მანქანებს. მაყურებლებს, რომლებიც ხულიგნურ საქციელს ჩაიდენენ, წიგნაკს ჩამოართმევენ და სტადიონზე შესვლას აუკრძალავენ. როგორც ინგლისის სპორტის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, თუ ამ სიახლემ გაამართლა, მაშინ მთავრობა საკითხს დასვამს ინგლისის კლუბების უეფა-ს ტურნირებში ხელახლა დაშვების შესახებ.

დიდი შემოსავალი

მიუნხენის „ბაიერნის“ წარმატებებთან დაკავშირებით კლუბის წმინდა შემოსავალი სისტემატურად იზრდება და 1989 წელს სარეკორდო თანხას — 1.239.000 მარკას მიაღწია. კლუბს 14.688 მუდმივი წევრი ყავს. მათი საერთო საწევრო გადასახადი 1 მილიონი მარკაა.

რედაქტორი
თ. ბაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380008,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი“ — 93-97-29, „მორავე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 64435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10578